GAU
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი 0160, საქართველო
10 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.ge

№02-127 27.07.2018

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტის

ბრძანება

შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე, და 36-ე და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულების მე-8 და 26-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2018 წლის 30 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 3 წლის ვადით;
2. საკონსკურსო ადგილების რაოდენობა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების მიხედვით განისაზღვროს ამ ბრძანების დანართ #1-ში მოცემული მიმართულებების/სპეციალობების შესაბამისად;
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:
   - განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე;
   - CV;
   - სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
   - შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   - გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
   - წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია;
   - სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - საგრანტო პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - სამეცნიერო საბჭოების, რედკოლეგიების, საექსპერტო კომისიების წევრობის დამადასტურებელო დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - დოქტორანტთა (დისერტანტთა) სამეცნიერო ხელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - უცხო ენის (ინგლისური) ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირის შრომის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის პრეზიდენტსა და პერსონალს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;

5. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი უნივერსიტეტთან აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას;
6. საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
    - ქეთევან ჯინჭარაძე
    - თეიმურაზ ტორონჯაძე
    - ნათია ნიშნიანიძე
    - კონსტანტინე კულიჯანოვი
    - კახაბერ ურიადმყოფელი
5. საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2018 წლის 3 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით 11 საათიდან 18 საათამდე სამუშაო დღეებში, მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. #10;
6. დოკუმენტაციის მიღებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის მენეჯერი ეკატერინე ბარბაქაძე;
7. კონკურსი ჩატარდება 14 სექტემბერს;
8. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 15 სექტემბერს;
9. ინფორმაცია კონკურსის შესახებ და „შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულება“ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10. ბრძანების გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს ადმინისტრაციის მენეჯერს ეკატერინე ბარბაქაძეს.

რ. მაიკლ ქაუგილი
პრეზიდენტი